

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება "ბინომი,,

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

შინაარსი

1 საქმიანობის მომხილვა	4
2 განვითარების სტრატეგია.....	5
3 ჩატარებული კვლევები	5
4 ფინანსური ინფორმაცია	6
5 ფინანსური რისკების მართვა.....	9

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს ბინომის“ მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე.

20 ნოემბერი 2025 წელი

ორინე ცისკაძე

დირექტორი



შპს „ბინომი“ ს/კ 205272408

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ბინომი“ ბაზარზე ოპერირებს 2009 წლიდან. მის ძირითად საქმიანობს წარმოადგენს საოფისე ავეჯის წარმოება და საბითუმო საცალო რეალიზაცია. ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე ისე უცხოეთიდან .

კომპანია ფუნქციონირებს საამქრო და საოფისე ფართით.

2024 წელს დასაქმებულთა საშვალო რაოდენობა შეადგენდა 13 ადამიანს(2023

11თანამშრომელი)

კომპანია დაარსების დღიდან ყოველწლიურად იზრდება და ორიენტირებულია მეტი მუდმივი კორპორატიული კლიენტის მოძიებაზე და ბიზნესის განვითარებაზე.

ბიზნესი და ოპერაციები

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს.

სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება წარმოების და გაყიდვების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია დასახული მიზნების შესრულებაზე.

კომპანიის მიზანია ჰყავდეს მოტივირებული მონდომებული თანამშრომლები, რის გამოც კომპანიაში მოქმედებს საკმაოდ ეფექტური მოტივაციის სქემა.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ მსხვილი ფარმაცეპტული და ქსელური მაღაზიები.

პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება, დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით.

2. განვითარების სტრატეგია

2024 წელს კომპანიამ მსგავსად 2023/2022 წლის შეინარჩუნა გაზრდილი გაყიდვები, მომავალ პერიოდში იგეგმება წარმოების კიდევ უფრო გაფართოება

გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია მიზნად ისახავს საიმედო პარტნიორის იმიჯის გამყარებას .

3. ჩატარებული კვლევები

კომპანია სისტემატურად ატარებს მარკეტინგულ კვლევებს, რომლებიც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

1. ბაზრის გაჯერებულობის ანალიზი ხდება დეფიციტური პროდუქციის გამოვლენა და ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული ახალი სტილის ავეჯის შეთავაზება კორპორატიული და ახალი კლიენტებისთვის.
2. კონკურენტების ფასების მონიტორინგი რეგულარულად ხდება ფასების შედარება კონკურენტებთან და საჭიროების შემთხვევაში, ფასების კორექტირება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად

4. ფინანსური ინფორმაცია

შპს " ბინომი,, 2024 წელს მესამე კატეგორიის საწარმოს წარმოადგენს და ფინანსურ ინფორმაციას წარმოადგენს მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა		
ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	-----	-----
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	366573	129045
არამეტერიალური აქტივები	-	-
აქტივების გამოყენების უფლება		
	-----	-----
	366573	129045
	-----	-----
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	294881	639146
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	398566	250306
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	186504	227580
	879951	1117032
	-----	-----
მთლიანი აქტივები	1246524	1246077
	-----	-----
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები:		
საწესდებო კაპიტალი	-	-
აკუმულირებული მოგება	375850	455202
	375850	455202
	-----	-----
გრძელდავადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელდავადიანი სესხები	684621	498901
	-----	-----
	684621	498901
	-----	-----
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	186053	291974
საიჯარო მოკლევადიანი ვალდებულება	-	-
მიმდინარე სესხი	-	-
	-----	-----
	186053	291974
	-----	-----
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1246524	1246077
	-----	-----

კომპანიის აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანმა აქტივებმა

1246524 ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 1246077 ლარი იყო

კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნები და დაძირითადი საშვალეები. 2024 წელს კომპანიამ განახორციელა ავეჯის დასამზადებელი დანადგარების და სატრანსპორტო საშვალეების შეძენა.

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიამ დამატებით აიღო სესხი პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად

კაპიტალი

2024 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა მოგებამ შეადგინა 375850 ლარი.

მოგება ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ლარი	2024 წელი	2023 წელი
	-----	-----
შემოსავალი	4419135	4929786
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-3314351	-3950850
საერთო მოგება	-----	-----
	1104784	978936
	-----	-----
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	-591449	-357084
ადმინისტრაციული ხარჯები	-575117	-316260
სხვა ხარჯები	-	-
	-----	-----
შედეგი საოპერაციო მოგებიდან	-61782	305592
	-----	-----
ფინანსური ხარჯები	-	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-17570	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-
	-----	-----
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-79352	305592
	-----	-----

2024 წელს კომპანიის შემოსავლებმა 4.4 მილიონი ლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 11% ით არის შემცირებული , 2024 წელი კომპანიამ დაასრულა 79352 ლარის ზარალით, რაც ძირითადად განპირობებულია

ხარჯვით ნაწილში ხელფასების , სესხზე დარიცხული პროცენტის და იჯარით აღებულ ფართში საამქროს კეთილმოწყობით.

5. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია პროდუქციის მიწოდებამდე დებს ხელშეკრულებებს კლიენტებთან სადაც თვითდანვე განსაზღვრულია მასაწოდებელი ფასი და ხარისხი .

ნედლეული ბაზარზე მთლიანად იმპორტირებულია ამიტომაც ხშირად ფასიც ცვალებადია. კომპანია მაქსიმალურად ახდენს ნედლეულის წინასწარ შეძენას რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ზარალი ნედლეულის გაძვირებიდან გამომდინარე.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონერადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება : აკუმულირებული მოგებისგან.